

აქტიური სწავლების სტრატეგიები: პრაქტიკაზე დაყრდნობით

აქტიური სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებული სირთულეების მიხედვით. გამოიყენეთ ეს ინსტრუქცია იმ ტექნიკების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც უკვე იყენებთ და ასევე იმ ტექნიკებისთვის, რომლებსაც დაამატებდით თქვენს პრაქტიკაში.

ჩვენ დავაჯგუფეთ ყველა სტრატეგია სირთულეების მიხედვით, რადგან თქვენ შეძლოთ რაც შეიძლება მეტი სასარგებლო იფორმაციის მიღება, რომელიც გამოგადგებათ შემდგომ თვენს კურსებზე აქტიური სწავლების განხორციელებისთვის.

- **დაბალი სირთულის ტექნიკა** მოიცავს დროის კონსტრუირებას არსებული სალექციო ან სავარჯიშო კონტენტში იმისთვის, რომ სტუდენტებმა გაანალიზონ მიღებული ინფორმაცია. მაგალითად: ანალიზი-შეჯამება-გადმოცემა, პრაქტიკული მუშობა წყვილებში (ჯგუფურად) ან სწრაფი რეფლექსური კითხვა-პასუხის რეჟიმი;
- **საშუალო სირთულის ტექნიკა** აგებულია იდეაზე, რომელიც გულისხმობს დროის ასახვას და დამუშავებას მძიმედ დატვირთულ საინფორმაციო ლექციების სეგმენტში, თუმცა მოითხოვს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვას, წინასწარ შემუშავებული სალექციო მასალის გაზიარებას, მაგალითად ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას როგორც iClickers ან Google Doc.
- **მაღალი სირთულის ტექნიკა** ხშირ შემთხვევაში ანაცვლებს ლექციებისა და შეფასების ტრადიციულ მოდელებს, აქედან გამომდინარე საჭიროებს უფრო მეტ მოსამზადებელ სამუშაოს და წინდახედულობას ვიდრე სწავლების სხვა ტექნიკები, თუმცა შესაძლებელია ამ ტიპის დავალებების ინტეგრირება არსებულ კლასებში. მაგალითად გაითვალისწინეთ ერთი ან ორი ლექციის ჩანაცვლება ჯგუფური სამუშაოებით თემატურ გამოკვლევებზე ან საპროექტო დავალებების შესწავლა ტრადიციული მეთოდებით ჩანაცვლეთ პრობლემური შესწავლის გახანგრძლივებული პროექტებით.

კითხვარის შევსებისას, ქვემოთ მითითებული ნიშნები, პირად პრაქტიკაზე დაყრდნობით გამოიყენეთ იმ აქტივობების მოსანიშნად, რომელსაც თქვენ იყენებთ ლექციაზე (“Lec”), დისკუსია/სემინარზე (“Dis”), ლაბორატორიულ მეცადინეობებზე (“Lab”), ან ონლაინ/შერეული (“O/B”) სწავლებისას სტუდენტებთან.

Y = მე ამას ვიყენებ სწავლებისას

~ = მე ამის მსგავს რამეს ვიყენებ სწავლებისას

N = მე ამას არ ვიყენებ სწავლებისას

***** = მე მსურს ეს გამოვიყენო მაგრამ მჭირდება უფრო მეტი ინფორმაცია ან რესურსი

ეს კითხვარი (ცხრილი) შეავსეთ ინდივიდუალურად. აქ ასევე არის თავისუფალი გრაფები სადაც შეგიძლიათ დაამატოთ ის პედაგოგიური აქტივობები რომელიც გამგიყენებიათ სწავლებისას თქვენს პრაქტიკაში ან გაგიგიათ და გასმენიათ ასეთი აქტივობის შესახებ და გასურთ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ ეს არ არის შეჯიბრება და არ არის აუცილებელი რაც შეიძლება ბევრ ადგილზე დასვათ Y ნიშანი.

ტრენინგები მომზადებულია Erasmus+ პროგრამის, პროექტი “PRINTeL” –ის ფარგლებში, ლინკოპინგის უნივერსიტეტის (შვედეთი) აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ცენტრის (TSDC - Didacticum) გამოცდილებაზე დაყრდნობით. პროექტი ხორციელდება სტუ-ს ინოვაციების ცენტრის და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის ეგიდით <https://printel.am/>

დაბალი სირთულე

Lec	Dis	Lab	O/B	
				<p>ლექციის განმავლობაში აიღეთ 2-3 წუთიანი პაუზა. სთხოვეთ სტუდენტებს, რომ გაანალიზონ მიღებული ინფორმაცია და შემდგომ შეეკითხეთ საჭიროებს თუ არა რომელიმე საკითხი დამატებით განმარტებას. ეს არის მარტივი ტექნიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს „აქტიური მოსმენით“ შესწავლას. ლექციის განმავლობაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების ან ძირითადი კონცეფციის განსაზღვრის შემდეგ, შეწყვიტეთ თვენი პრეზენტაციის წარდგენა, რადგან სტუდენტებმა უკეთესად შეძლონ მიღებული ცოდნის გაანალიზება. მცირედი პაუზის შემდეგ, შეეკითხეთ სტუდენტებს საჭიროებებს თუ არა რომელიმე საკითხი განხილვას. სთხოვეთ სტუდენტებს გადახედონ თავიანთ ჩანაწერებს და დასვან კითხვები აქამდე გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით.</p>
				<p>ჩართეთ სტუდენტები „გონების შტურმი“-ში (“brain-storming”). შესთავაზეთ სტუდენტებს განიხილონ რამე თემა ან პრობლემური საკითხი. მიეცით მათ 2 ან 3 წუთი იდეების ჩამოსაწერად და შემდგომ გადაიტანეთ ყველაფერი დაფაზე. მაგალითი: „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“ ლექციისთვის - „როგორც უმცირესობის წარმომადგენელი კონგრესში, რა ხელმისაწვდომ ხერხებს გამოიყენებდით საკანონმდებლო აქტის ბლოკირებისთვის?“ ან საინჟინერო დიზაინის კურსის ლექციისთვის- „რომელი თვალსაჩინო საკითხები წარმოადგენენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს (გარემოს დაცვა, ხარისხის კონტროლი და ა.შ.) რომლებთანაც შესაძლოა დაპირისპირება ტექნოლოგიური ბლოკის კონსტრუირებისას?“.</p>
				<p>ჩართეთ სტუდენტები წერილობით სამუშაოში სავარჯიშოებზე. მაგალითად: მოკლე შინაარსის გადმოცემა , ყველაზე სადაო საკითხის განმარტება. ლექციის პერიოდში სთხოვეთ სტუდენტებს ამოიღონ ცარიელი ფურცლები. შემდგომ დაუსვით სასურველი კითხვა ან თემა. მაგალითად: „დღეს ჩვენ ვისაუბრეთ ემანსიპაციის და გენდერული თანასწორობის შესახებ. ჩამოწერეთ დამახსოვრებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება. ჩამოთვალეთ რაც შეიძლება მეტი ძირითადი მოვლენები ამ პროცესთან დაკავშირებით ამისთვის თქვენ გაქვთ მხოლოდ 2 წუთი - დაიწყეთ!“.</p>
				<p>სთხოვეთ სტუდენტებს იმსჯელონ ინდივიდუალურად, შემდეგ კი გაუზიარონ თავიანთი იდეები მეწყვილეებს და ჩაერთონ სხვა ჯგუფებში. (იმსჯელეთ- შეაჯამეთ- გააზიარეთ)</p>
				<p>სთხოვეთ სტუდენტებს ჩაერთონ კლასში მასალის კითხვის აქტივობებში, რასაც შემდგომ მოყვება მსჯელობა და დისკუსია.</p>
				<p>სთხოვეთ სტუდენტებს უყურონ მოკლე ვიდეოს ან რამდენიმე მოკლე ვიდეოკლიპებს, შემდგომ კი განიხილონ მოცემული თემები და პრობლემები ჯგუფური სამუშაოების სახით.</p>

ტრენინგები მომზადებულია Erasmus+ პროგრამის, პროექტი “PRINTeL” –ის ფარგლებში, ლინკოპინგის უნივერსიტეტის (შვედეთი) აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ცენტრის (TSDC - Didacticum) გამოცდილებაზე დაყრდნობით. პროექტი ხორციელდება სტუ-ს ინოვაციების ცენტრის და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის ეგიდით <https://printel.am/>

საშუალო სირთულე

Lec	Dis	Lab	O/B	
				სთხოვეთ სტუდენტებს სათითაოდ ჩამოწერონ ერთი საკითხი ფურცელზე, შემდეგ კი გადაახარისხონ შეკითხვები კატეგორიების მიხედვით და განიხილონ ყველა მოცემული კატეგორია.
				სთხოვეთ სტუდენტებს გადახედონ ერთმანეთის ჩანაწერებს და დაურთონ კომენტარები. ასევე შეასრულებინეთ ინდივიდუალური საშინაო დავალებები. შესრულებული დავალების შემოწმების დროს, სტუდენტს უნდა ჰქონდეს ორი ეგზემპლარი. ერთს გადასცემს ლექტორს, მეორეს კი-მეწყვილეს. მეწყვილეებს ევალებათ გადახედონ ერთმანეთის შესრულებულ დავალებებს, შეასწორონ გრამატიკული და შინაარსობრივი შეცდომები და დაურთონ კომენტარები.
				ჩართეთ სტუდენტები fishbowl თამაშის აქტივობაში. (მაგალითად: სტუდენტების ნაწილი უნდა დასხდეს წრეში, დასვან კითხვები გამოთქვან თავიანთი აზრები, გააზიარონ ინფორმაცია. ამ დროს სტუდენტების მეორე ნაწილი იმყოფება წრის გარეთ, ყურადღებით უსმენენ და აკვირდებიან ამ პროცესს. შემდეგ კი შეუცვალეთ როლები.)
				სთხოვეთ სტუდენტებს გააკეთონ ანოტაციები წყვილებში. (მაგალითად: სტუდენტები უნდა დაწყვილდნენ რაიმე კონკრეტული მასალის განსახილველად, გაეცნონ და შეისწავლონ რამე სტატია და გაუცვლონ ერთმანეთს ორი ან მეტი კონტენტის მქონე ჟურნალები მსჯელობისთვის.)
				ჩართეთ სტუდენტები აქტიური ანალიზის მუშაობის პროცესში. (მაგალითად: გადახედეთ და განიხილეთ სხვა და სხვა მატერიალები, ან კონკრეტული პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის შესაძლო ვარიანტები.)
				ჩართეთ სტუდენტები ურთიერთ-მიმართულ გამოკითხვით აქტივობებში. (მაგალითად: შესთავაზეთ სტუდენტების ჯგუფს რამე კონკრეტული საკითხი დისკუსიისთვის.)
				დააწერინეთ სტუდენტებს მოკლე ქვიზი, ქულბრივი შეფასების გარეშე, იმისთვის, რომ შეამოწმოთ თუ როგორ აითვისა სტუდენტმა გაზიარებული მასალა. სტუდენტები წერენ ქვიზებს ან საკონტროლო წერას, რაც ეხმარება მათ მიღებული ცოდნის გააზრებაში. შესაბამისი კონცეპციის ან ანალოგიური მეთოდების გამოყენება შესაძლებელია სემესტრის დასაწყისში. ეს ყველაფერი ეხმარება სტუდენტებს შეცდომების იდენტიფიცირებაში.
				ჩართეთ სტუდენტები ინდივიდუალური ან ჯგუფური თვითშეფასების პროცესში.
				ჩართეთ სტუდენტები გუნდურ სამუშაოებში წყვილებში, ტრიალებში ან პატარა ჯგუფებში საკლასო დავალებების განსახილველად. დაუსვით კითხვები თითოეულ კოოპერატიულ სამუშაო ჯგუფს. აუდიტორიაში გადაადგილების პროცესში დაუსვით დამატებითი კითხვები, კითხვა-პასუხის რეჟიმში, ჯგუფებში ინტენსიური მუშაობების გასაგრძელებლად. სამუშაო პროცესისთვის გამოყოფილი დროის შემდეგ, სთხოვეთ სტუდენტებს გააზიარონ თავიანთი შეხედულება ერთმანეთში.
				სთხოვეთ სტუდენტებს უპასუხოთ კითხვებს iClicker-ის მეშვეობით ან სხვა ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით, მიღებული ცოდნის შესამოწმებლად.

ტრენინგები მომზადებულია Erasmus+ პროგრამის, პროექტი “PRINTeL” –ის ფარგლებში, ლინკოპინგის უნივერსიტეტის (შვედეთი) აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ცენტრის (TSDC - Didacticum) გამოცდილებაზე დაყრდნობით. პროექტი ხორციელდება სტუ-ს ინოვაციების ცენტრის და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის ეგიდით <https://printel.am/>

მაღალი სირთულე

Lec	Dis	Lab	O/B	
				სთხოვეთ სტუდენტებს იმუშაონ კონკრეტულ დავალებებზე პატარა ჯგუფებში. ამ ტექნიკის დროს ძირითადი თემა იყოფა მცირე უერთიერთდაკავშირებულ ნაწილებად (პაზლის ანალოგად). გუნდის თითო წევრმა უნდა წაიკითხოს მოცემული მასალა და გახდეს ექსპერტი სხვა საკითხში. იმის მერე რაც ექსპერტები დაუბრუნდებიან პაზლის თავიანთ ნაწილს, მათ ევალებათ მოუყვინნ ერთანეთს ამ პაზლების სხვა ნაწილების შესახებ. საბოლოოდ, ინფორმაციის გაცვლის შემდეგ, პაზლი აგებულია და გუნდების თითო წევრი ფლობს მნიშვნელოვან ცოდნას პაზლის თითო ნაწილზე.
				ჩართეთ სტუდენტები გამოკვლევაზე დაფუძნებულ აქტივობებში (მაგალითად: გაუზიარეთ რამე კონკრეტული ინფორმაცია სტუდენტებს და მიეცით მათ საშუალება დააფორმულირონ თავიანთი დებულებები).
				ჩართეთ სტუდენტები ინდივიდუალური შესწავლის პროცესში. (მაგალითად: სთხოვეთ სტუდენტებს წაიკითხონ და განიხილონ რეალურად არსებული კომპლექსური სცენარები, რომელიც განავითარებს მათში ანალიტიკური მსჯელობის უნარი).
				ჩართეთ სტუდენტები პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებაში. (დააფორმულირეთ პრობლემა გრძელვადიანი კვლევის სახით, რომელიც მისცემს სტუდენტებს საშუალებას გაანვიტარონ და დაიხვეწონ კვლევითი, პროცედურული და კომუნიკაბელური უნარები.).
				სთხოვეთ სტუდენტებს ჩაერთონ როლურ და სიმულაციურ თამაშებში.
				ჩართეთ სტუდენტები რეალურ პრობლემებსა და სიტუაციებზე მუშაობაში. (მაგალითად: დაასახელებთ რაიმე პრობლემა კამპუსის გარეთ და შესთავაზებთ პრობლემების გადაჭრის შესაძლებელი გზები. შემდეგ კი იმუშავეთ ჯგუფებში იმისთვის, რომ სტუდენტებმა უფრო კარგად შეისწავლონ მოცემული სიტუაცია და პრობლემები.)
				ჩართეთ სტუდენტები რეფლექსურ დიალოგებში და მოქმედებებში, გამოიყენეთ თეატრალური ფორუმი და მსგავსი მეთოდები. გამოიყენეთ თეატრი (სცენა) არჩეული განსახილველი სიტუაციების წარმოსადგენად. სთხოვეთ მონაწილეებს ჩაერთონ სკეტჩებში, იმისთვის რომ მოიპოვონ მოცემული საკითხების ამოხსნის გზები. სტუდენტების იმ ნაწილმა ვინც არ იღებდა მონაწილეობას დადგმულ სკეტჩებში უნდა მოიფიქრონ შესაძლებელი ვარიანტები გუნდური მუშაობის გასაუმჯობესებლად. სთხოვეთ მოხალისეებს დადგან ახალი სკეტჩები განახლებული სცენარების მიხედვით.

ტრენინგები მომზადებულია Erasmus+ პროგრამის, პროექტი “PRINTeL” –ის ფარგლებში, ლინკოპინგის უნივერსიტეტის (შვედეთი) აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ცენტრის (TSDC - Didacticum) გამოცდილებაზე დაყრდნობით. პროექტი ხორციელდება სტუ-ს ინოვაციების ცენტრის და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის ეგიდით <https://printel.am/>